

შპს ქართული ღვინის კოოპერაცია

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	9
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
5. სავაჭრო მოთხოვნები	13
6. მარაგები	13
7. ძირითადი საშუალებები	13
8. სავაჭრო ვალდებულებები.....	15
9. სესხები	15
10. საწესდებო კაპიტალი	15
11. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16
13. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	16
14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19 (გადაანგარიშებული)	31-12-18 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	375,250	172,210	109,658
სავაჭრო მოთხოვნები	5	236,367	226,542	109,783
მარაგები	6	1,000,250	885,718	537,178
სხვა მიმდინარე აქტივები		15,025	28,882	14,062
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,626,892	1,313,352	770,681
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	427,442	444,589	245,703
არამატერიალური აქტივები		14,921	18,073	20,207
სულ გრძელვადიანი აქტივები		442,363	462,662	265,910
მთლიანი აქტივები		2,069,255	1,776,014	1,036,591
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	1,742,490	1,340,038	795,466
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		9,323	24,218	19,055
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		19,819	24,552	28,490
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,771,632	1,388,808	843,011
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	9	79,520	99,282	109,948
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		79,520	99,282	109,948
მთლიანი ვალდებულებები		1,851,152	1,488,090	952,959
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	122,000	122,000	122,000
გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალი)		96,103	165,924	(38,368)
სულ საკუთარი კაპიტალი		218,103	287,924	83,632
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		2,069,255	1,776,014	1,036,591


აღმასრულებელი დირექტორი -----

ირაკლი ჩხაიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19 (გადაანგარიშებული)	31-12-18 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	375,250	172,210	109,658
სავაჭრო მოთხოვნები	5	236,367	226,542	109,783
მარაგები	6	1,000,250	885,718	537,178
სხვა მიმდინარე აქტივები		15,025	28,882	14,062
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,626,892	1,313,352	770,681
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	427,442	444,589	245,703
არამატერიალური აქტივები		14,921	18,073	20,207
სულ გრძელვადიანი აქტივები		442,363	462,662	265,910
მთლიანი აქტივები		2,069,255	1,776,014	1,036,591
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	1,742,490	1,340,038	795,466
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		9,323	24,218	19,055
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		19,819	24,552	28,490
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,771,632	1,388,808	843,011
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	9	79,520	99,282	109,948
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		79,520	99,282	109,948
მთლიანი ვალდებულებები		1,851,152	1,488,090	952,959
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	122,000	122,000	122,000
გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალი)		96,103	165,924	(38,368)
სულ საკუთარი კაპიტალი		218,103	287,924	83,632
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		2,069,255	1,776,014	1,036,591

აღმასრულებელი დირექტორი



ირაკლი ჩხაიძე

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	3,467,313	3,690,979
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11	(2,292,584)	(2,440,932)
საერთო მოგება		1,174,729	1,250,047
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(656,488)	(510,469)
ხელფასები და სხვა სარგებელი	13	(527,065)	(469,120)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(84,979)	(52,401)
სხვა შემოსავლები		65,827	12,094
სხვა ხარჯები		(10,037)	(7,790)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(38,013)	222,361
საპროცენტო ხარჯი		(15,237)	(17,373)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(16,571)	(696)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(69,821)	204,292
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა (ზარალი)/მოგება		(69,821)	204,292

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(აკუმული რებული ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)		122,000	(38,368)	83,632
წმინდა მოგება		-	204,292	204,292
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	10	122,000	165,924	287,924
წმინდა ზარალი		-	(69,821)	(69,821)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	10	122,000	96,103	218,103

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
საოპერაციო საქმიანობა			
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(69,821)	204,292
კორექტირებები:			
საპროცენტო ხარჯი		15,237	17,373
ზარალი საკურსო სხვაობიდან		16,571	696
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		84,979	52,401
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(9,825)	(116,759)
ცვლილება მარაგებში		(114,532)	(348,540)
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში		13,857	(14,820)
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში		402,452	544,572
ცვლილება გადასახდელ ხელფასებსა და სხვა სარგებელში		(14,895)	5,163
ცვლილება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში		(4,733)	(3,938)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		319,290	340,440
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(63,409)	(247,246)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(1,271)	(1,907)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(64,680)	(249,153)
ფინანსური საქმიანობა			
პროცენტის გადახდა		(5,183)	(15,313)
სესხის დაფარვა		(29,816)	(12,726)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(34,999)	(28,039)
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი		(16,571)	(696)
ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა		203,040	62,552
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	4	172,210	109,658
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	4	375,250	172,210

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქართული ღვინის კოოპერაცია დაფუძნდა 2015 წლის 18 სექტემბერს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გ.შავგულიძის ქ. N 7 ბ. 57. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405117369. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები: ირაკლი ჩხაიძე (პ/ნ 11001005127) - 40%, ლევან ზუროშვილი (პ/ნ 01027017013) - 10%, გიორგი კვირიკაძე (პ/ნ 01008013283) - 30% და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 8000 მოსავალი სინერჯი (ს/ნ 404597628) - 20%.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო ბიზნესი. მისი ნიშური სეგმენტია ღვინის მომხმარებლები. კომპანიას აქვს როგორც ადგილზე მომსახურების, ასევე მიწოდების სერვისი. გარდა ამისა, კომპანია ახდენს საბითუმო გაყიდვებსაც. საბითუმო გაყიდვები ხდება როგორც სხვა რესტორნებზე, ასევე არა-სარესტორნო ბიზნესებზე. კომპანიის ბრენდული სახელია „8000 მოსავალი“.

კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - ირაკლი ჩხაიძე (პ/ნ 11001005127).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში.

COVID-19-ის პერიოდში, ტურისტულმა და სარესტორნო ბიზნესმა განსაკუთრებული დარტყმა მიიღო მომხმარებლების რაოდენობის შემცირების გამო, თუმცა ამ ანგარიშგების თარიღისთვის, რესტორანი გახსნილია და სრული დატვირთვით ფუნქციონირებს, როგორც ადგილზე ისე მიწოდებით. მენეჯმენტმა გააკეთა პროგნოზი და შესაბამისი ანალიზი, რაზე დაყრდნობითაც მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2020 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და მცირედით დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ყველა ის ფინანსური უწყისი, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-19	31-12-18	31-12-17
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	172,210	109,658	80,039
სავაჭრო მოთხოვნები	226,719	110,186	26,731
მარაგები	886,609	537,126	192,204
სხვა მიმდინარე აქტივები	28,406	14,063	620
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,313,944	771,033	299,594
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	444,699	245,703	91,492
არამატერიალური აქტივები	18,073	20,207	10,426
სულ გრძელვადიანი აქტივები	462,772	265,910	101,918
მთლიანი აქტივები	1,776,716	1,036,943	401,512
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1,339,156	800,673	358,209
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	24,218	19,055	8,182
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	24,631	28,490	15,470
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,388,005	848,218	381,861

შპს ქართული ღვინის კოოპერაცია

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	99,282	109,948	7,678
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	99,282	109,948	7,678
მთლიანი ვალდებულებები	1,487,287	958,166	389,539
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	122,000	122,000	122,000
გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალი)	167,429	(43,223)	(110,027)
სულ საკუთარი კაპიტალი	289,429	78,777	11,973
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	1,776,716	1,036,943	401,512

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-19	31-12-18
შემოსავალი რეალიზაციიდან	3,690,263	2,118,892
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(2,439,948)	(1,410,082)
საერთო მოგება	1,250,315	708,810
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(510,283)	(330,860)
ხელფასები და სხვა სარგებელი	(469,020)	(283,837)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(52,401)	(27,916)
სხვა შემოსავლები	17,384	24,306
სხვა ხარჯები	(7,274)	(7,869)
მოგება პროცენტებამდე და საკუროს სხვაობამდე	228,721	82,634
საპროცენტო შემოსავალი	-	376
საპროცენტო ხარჯი	(17,373)	(15,587)
ზარალი საკუროს სხვაობიდან	(696)	(619)
მოგება დაბეგრამდე	210,652	66,804
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება	210,652	66,804

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის. უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სამზარეულოს ინვენტარი და მანქანა-დანადგარები	3
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა და ნაგებობები	8
ოფისის აღჭურვილობა	8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	8

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პატენტსა და პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიას. ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება სასარგებლო მომსახურების 5 წლიანი ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

3.4 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია, ასევე ნედლეული და ნახევარფაბრიკატები. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.5 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.6 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.7 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და

ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.8 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.9 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას აქვს ფული საღაროში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-20	31-12-19
ფული საღაროში	26,348	32,712
ფული საბანკო ანგარიშებზე	348,902	139,498
სულ	375,250	172,210

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება ღვინის ადგილობრივ რესტორნებსა და სხვა კომპანიებზე რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნებისგან. გარდა ამისა, სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს კომერციული ბანკებისგან მისაღებ ანგარიშებს, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როცა კომპანია ტერმინალით იღებს გადახდას მომხმარებლებისგან.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-20	31-12-19
მოთხოვნები მიწოდებიდან	236,367	183,308
მოთხოვნები ბანკებისგან	-	43,234
სულ	236,367	226,542

6. მარაგები

კომპანიას გააჩნია როგორც მზა საქონელი, ასევე ნედლეული და ნახევარფაბრიკატები.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

მარაგები	31-12-20	31-12-19
მზა საქონელი	946,755	849,205
ნედლეული და მასალები	53,495	36,513
სულ	1,000,250	885,718

7. ძირითადი საშუალებები

2020 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
სამზარეულოს ინვენტარი და მანქანა-დანადგარები	45,059	1,308	46,367
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	192,452	3,212	195,664
ოფისის აღჭურვილობა	72,426	16,950	89,376
ავეჯი და სხვა ინვენტარი	230,868	41,939	272,807
სულ	540,805	63,409	604,214

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
სამზარეულოს ინვენტარი და მანქანა-დანადგარები	15,355	12,977	28,332
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	21,259	23,267	44,526
ოფისის აღჭურვილობა	14,009	11,600	25,609
ავეჯი და სხვა ინვენტარი	45,593	32,712	78,305
სულ	96,216	80,556	176,772

2019 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
სამზარეულოს ინვენტარი და მანქანა-დანადგარები	22,277	22,782	45,059
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	85,693	106,759	192,452
ოფისის აღჭურვილობა	52,624	19,802	72,426
ავეჯი და სხვა ინვენტარი	132,965	97,903	230,868
სულ	293,559	247,246	540,805

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
სამზარეულოს ინვენტარი და მანქანა-დანადგარები	6,581	8,774	15,355
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	9,255	12,004	21,259
ოფისის აღჭურვილობა	6,458	7,551	14,009
ავეჯი და სხვა ინვენტარი	25,562	20,031	45,593
სულ	47,856	48,360	96,216

8. სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-20	31-12-19
ღვინის მომწოდებლები	1,537,421	1,265,284
სხვა	205,069	74,754
სულ	1,742,490	1,340,038

9. სესხები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სესხები	31-12-20	31-12-19
სესხები დამფუძნებლებისგან	75,400	80,346
სესხები ბანკებისგან	4,120	18,936
სულ	79,520	99,282

დამფუძნებლებისგან აღებული სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 16%-ს 2020 და 2019 წლებში.

კომპანიას მიღებული აქვს სესხი (საკრედიტო ხაზი) ქართული კომერციული ბანკისგან, რომლის საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 17%-ს 2020 და 2019 წლებში.

10. საწესდებო კაპიტალი

2020 და 2019 წლებში კომპანიის საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა და შეადგენდა 122,000 ლარს.

11. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სარესტორნო ბიზნესი, მათ შორის ადგილზე მომსახურებისა და მიწოდების სერვისი. გარდა ამისა, კომპანია ახდენს საბითუმო გაყიდვებსაც. საბითუმო გაყიდვები ხდება როგორც სხვა რესტორნებზე, ასევე არა-

სარესტორნო ბიზნესებზე. 2020 და 2019 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	31-12-20	31-12-19
შემოსავალი ფასდათმობებამდე	3,488,006	3,732,668
ფასდათმობები და შეღავათები	(20,693)	(41,689)
წმინდა შემოსავლები	3,467,313	3,690,979
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(2,292,584)	(2,440,932)
საერთო მოგება	1,174,729	1,250,047

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-20	31-12-19
იჯარის ხარჯი	264,700	253,429
ტრანსპორტირების ხარჯები	125,541	31,140
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები	53,173	25,707
საბანკო ხარჯი	47,837	42,364
კომუნალური ხარჯი	38,828	37,822
ჰიგიენისა და სადეზინფექციო ხარჯები	20,858	30,555
საკონსულტაციო ხარჯები	9,429	14,181
სხვა ხარჯები	96,122	75,271
სულ	656,488	510,469

13. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-20	31-12-19
სახელფასო ხარჯი	516,463	459,188
პენსია და სხვა სარგებელი	10,602	9,932
სულ	527,065	469,120

14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

15.1 სესხები

2020 და 2019 წლების განმავლობაში კომპანიას აღებული ჰქონდა სესხები დამფუძნებლებისგან, რომელთა ჯამურმა ბალანსმა 2020 წლის ბოლოს შეადგინა 75,400 ლარი ხოლო 2019 წლის ბოლოს 80,346 ლარი.

15.2 მენეჯმენტის კომპენსაცია

2020 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 107,144 ლარი, ხოლო 2019 წელს 98,653 ლარი.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წელს კომპანიამ თბილისში გახსნა ახალი, მეოთხე, ობიექტი. მანამდე არსებული სამი ობიექტისგან განსხვავებით, მეოთხე ობიექტში ხდება მხოლოდ ალკოჰოლური სასმელის რეალიზაცია. პირველ სამ ობიექტში ხდება როგორც ალკოჰოლური სასმელების ისე საკვების რეალიზაცია.